თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 1

ქ. თელავი 2024 წლის 18 იანვარი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ლევან ბერძენაშვილი, დავით ღაღანიძე, ეკატერინე ონიკაძე, მიხეილ დაღუნდარიძე, ალექსანდრე შათირიშვილი, ალექსი ძულიაშვილი, აბრაამ მახარიაშვილი, ნატალია ბახსოლიანი, ბაადურ გულიაშვილი, გელა ესიტაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის **უფროსი ზურაბ სახიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი **ნინო ასანაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი **ნიკოლოზ ესიტაშვილი,** *თელავის* მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე.**

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ

მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ

აზრი გამოთქვეს: **თინათინ ხანჯალიაშვილმა** აღნიშნა, რომ ყოველ წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აქვს ვალდებულება რათა განიხილოს და მიიღოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის ნორმატიული აქტი.

ლევან ბერძენაშვილმა დააყენა წინადადება, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწყებული იქნას ადმინისტრაციული წარმოება.

ლევან ბერძენაშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ და მასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი**